ეროვნული ბიბლიოთეკა

585/1975/2

585/2

53

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (408)

1975 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (408) იანვარი 1975 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უხარისხო მშენებლობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
4. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1974 წლის შედეგების შესახებ.

განყოფილება მეორე

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ს. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

128142

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. დ. ბაბიევიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. თხილაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ვარდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. კაკაჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ლ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ჯიქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ლ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. მ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. ჯალაღონიას რიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ გ. ი. შხვაცაბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს გ. ს. ჭოღოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები კვირას, 1975 წლის 2 თებერვალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1975 წლის 13 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

3 უხარისხო მშენებლობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

უხარისხო მშენებლობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს 161[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 161.[1] უხარისხო მშენებლობა

სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სამუშაოთა მწარმოებლების, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობის განმახორციელებელ თანამდებობის პირთა მიერ უხარისხოდ, ან ხელშეკრულებისა და პროექტის პირობების შეუსაბამოდ აშენებული საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკული და სხვა ნაგებობების საექსპლუატაციოდ ჩაბარება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ“.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 161[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მესამე ნაწილს ციფრის „160“ შემდეგ დაემატოს ციფრი „161[1]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1974 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, კანონებით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო, რაიონული საბჭოების შესახებ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმების წარმატებით შესრულებას, დემოკრატიული პრინციპების დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიების, თითოეული მშრომელის აქტივობის შემდგომ ამაღლებას.

საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად იხილებოდა საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამეურნეო-ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობასთან, სოციალისტური კანონიერების დაცვასთან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატის სტატუსის შესახებ კანონის განხორციელებას, საბჭოების სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადების დაცვას, აღმასკომების, მის განყოფილებათა და სამმართველოების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარებას, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. გაუმჯობესდა კონტროლი საბჭოებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაზე.

საანგარიშო პერიოდში მოწვეულია 6.655 სესია, რომლებზეც განხილულია 14.134 საკითხი; აქედან: 1.936 საკითხი ეხებოდა გეგმასა და ბიუჯეტს, 2.633 — სოფლის მეურნეობას, მიწათსარგებლობასა და ბუნების დაცვას, 1.143 — სახალხო განათლებასა და კულტურას, 1.107 — სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, 246 — მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას, 1.891 — მოსახლეობის სამედიცინო, საბინაო-კომუნალური, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, სოცუზრუნველყოფას, დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობას.

საბჭოების საქმიანობის ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე მშრომელთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის, დეპუტატთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების, გადაწყვეტილებათა შესრულების, მუდმივი კომისიების მუშაობის და სხვა მრავალი საკითხი.

1974 წელს სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 31.651 დეპუტატმა, ანუ მთელი შემადგენლობის 64,5 პროცენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზარდა დეპუტატების აქტივობა. გასულ წელს დეპუტატებმა სესიებზე შეკითხვის წესით დააყენეს 1.219 საკითხი — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1973 წელს.

რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის. საანგარიშო პერიოდში საბჭოების მიერ მიღებული 28.382 განაწესიდან შესრულდა 22.711 ანუ მათი საერთო რაოდენობის 80 პროცენტი.

ასპინძის, წყალტუბოს, ხობის, ბოგდანოვკის, ჩხოროწყუს, სიღნაღის და ზოგიერთი სხვა რაიონის ადგილობრივ საბჭოს განაწესების შესრულების საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვთ.

განაწესების განხორციელების შედეგად ბევრ რაიონსა და ქალაქში აშენდა სკოლები, საბავშვო ბაღები, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, კეთილმოეწყო მრავალი დასახლებული პუნქტი და გზა, გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურება.

1974 წელს მუდმივმა კომისიებმა მონაწილეობა მიიღეს სესიებისათვის 7.947, ხოლო აღმასკომის სხდომებისათვის 20.858 საკითხის მომზადებაში. ამასთან სესიებზე მოხსენებითა და თანამოხსენებით გამოვიდნენ 11.720 საკითხზე; 4.120 მუდმივმა კომისიამ ანგარიში ჩააბარა სესიებს, რაც საერთო რაოდენობის 60 პროცენტს შეადგენს.

საარჩევნო ოლქებში საგრძნობლად ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა საქმიანობა. მათი დიდი უმრავლესობა კანონის შესაბამისად აბარებს ანგარიშს ამომრჩევლებს. გასულ წელს 46.967 დეპუტატმა, ანუ საერთო რაოდენობის 95,8 პროცენტმა ორჯერ ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს (გორის საქალაქო, წალენჯიხის, სამტრედიის, ვანის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ყვარლის, სიღნაღის, კასპის და ზოგიერთი სხვა რაიონის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები).

საბჭოების აღმასკომები, მათი განყოფილებები და სამმართველოები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სესიებზე და მოსახლეობის წინაშე ანგარიშებით გამოსვლას. 1974 წელს სესიებს ანგარიში ჩააბარა 1.099 აღმასკომმა (საერთო რაოდენობის 99,7 პროცენტი), ხოლო მოსახლეობის წინაშე ანგარიშით გამოვიდა 1.068 აღმასკომი (96,9 პროცენტი).

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების 967 განყოფილება და სამმართველოდან მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა 855-მა (88,3 პროცენტმა); ამ მხრივ კარგი მონაცემები აქვთ წითელწყაროს, თელავის, ზესტაფონის, საჩხერის, დუშეთის, ახალციხის, ამბროლაურის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, წულუკიძის, მახარაძის რაიონული, ტყიბულის, ჭიათურის, ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა ჩაატარეს და მოაწყვეს 8.821 სემინარი და „დეპუტატის დღე“.

კახეთის ზონის რაიონების აღმასკომების მუშაკთათვის მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების კადრებით განმტკიცებისა და მათი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის. 1974 წელს რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შექმნილ საბჭოთა მშენებლობის ერთწლიან სკოლებსა და მოკლევადიან კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა ყველა სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, მდივანმა და მუდმივ კომისიათა თავმჯდომარემ.

გაუმჯობესდა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა შემადგენლობა: 976 თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლებით არის 597 (61,2 პროცენტი). გასულ წელთან შედარებით თავმჯდომარეთა შორის უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა 5,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო აღმასკომის მდივნების — 5,5 პროცენტით.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში კვლავ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი საბჭო და მისი აღმასკომი სრულყოფილად ვერ იყენებს საქართველოს სსრ სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების შესახებ კანონებით მინიჭებულ უფლებებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საქმეს, სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს დასახლებული პუნქტებისა და გზების კეთილმოწყობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

არის შემთხვევები, როდესაც საბჭოს აღმასკომი არ იცავს სესიების მოწვევის კანონით დადგენილ ვადებს. საანგარიშო პერიოდში სესიების მოწვევის ვადები დაარღვიეს ბორჯომის საქალაქო, ლენტეხის რაიონის ცანის და გარდაბნის რაიონის ნორიოს სასოფლო საბჭოებმა.

რიგ რაიონში არ იცავენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნას საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევის შესახებ.

გასული დეპუტატების ნაცვლად არჩევნები არ ჩატარდა 74 ოლქში. აქედან 12 ოლქში უკვე ორ თვეზე მეტია გასული. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მარნეულისა და თიანეთის რაიონებში.

1974 წლის განმავლობაში 49.044 დეპუტატიდან 1.822 დეპუტატმა (3,7 პროცენტმა) მხოლოდ ერთხელ ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს (მარნეულის რაიონში 1.056 დეპუტატიდან — 204-მა, ბოგდანოვკის რაიონში — 633-დან 187-მა, ხოლო წალკის რაიონში — 633-დან 135 დეპუტატმა).

ბევრ საბჭოში დეპუტატებს სათანადო დახმარებას არ უწევენ თავიანთი მოვალეობის შესრულებაში, მოწყობილი არ არის დეპუტატის ოთახი ან კუთხე, არ ტარდება იურიდიული კონსულტაციები და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი, განყოფილება და სამმართველო ბოლო პასუხისმგებლობით არ ეკიდება სესიებისა და მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების საქმეს. კერძოდ, 1974 წელს სესიებს ანგარიში არ ჩააბარეს სამხრეთ ოსეთის საოლქო, ბორჯომის საქალაქო და თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, ხოლო მოსახლეობას — 34 საბჭოს აღმასკომმა (სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქ. თბილისის ოქტომბრის, ონის რაიონული, ბოგდანოვკის სადაბო, სასოფლო, აჭარის ასსრ 7 სასოფლო, ხაშურის რაიონის გომის სასოფლო საბჭოს აღმასკომები და სხვ.).

მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია აღმასკომების 112 განყოფილებას და სამმართველოს. მათ შორის აღსანიშნავია ონის რაისაბჭოს აღმასკომი, რომლის 11 განყოფილებიდან და სამმართველოდან არც ერთს არ ჩაუბარებია ანგარიში მოსახლეობისათვის. მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია აგრეთვე აჭარის ასსრ — 13, აფხაზეთის ასსრ — 5, ადიგენის — 6, ლაგოდეხის — 5 რაიაღმასკომის განყოფილებასა და სამმართველოს.

კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია საბჭოების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საქმეში. საანგარიშო პერიოდში სუსტი მუშაობისათვის შეიცვალა 68 აღმასკომის თავმჯდომარე, 18 თავმჯდომარის მოადგილე, 26 აღმასკომის მდივანი. შეცვლის შემთხვევები დიდია მესტიის, ვანის, მახარაძის, ჩოხატაურის, გურჯაანის, თელავის, თერჯოლის, აბაშის, ცხაკაიას და ზუგდიდის რაიონებში.

ხშირ შემთხვევაში აღმასკომებში არჩევით თანამდებობებს ასრულებენ არადეპუტატები. ასე მაგალითად, რესპუბლიკაში 46 აღმასკომის თავმჯდომარე, 9 თავმჯდომარის მოადგილე და 21 აღმასკომის მდივანი არადეპუტატია (საჩხერის და გეგეჭკორის რაიონებში 3-3 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და ა. შ.).

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დარღვევისა და დანაშაულისათვის გაწვეულ იქნა 41 დეპუტატი, მათ შორის: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 21, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 4, სამტრედიის რაიონში — 3, თერჯოლის რაიონში — 2 და სხვ.

ნაკლოვანებებია ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეში. თბილისის საქალაქო საბჭომ 113 განაწესიდან შეასრულა მხოლოდ 45 ანუ 39,8 პროცენტი, კასპის საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა — 67-დან 36 ანუ 53,7 პროცენტი და ა. შ.

საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია სათანადო კონტროლს ვერ უწევს საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას. საანგარიშო პერიოდში სესიისა და აღმასკომისათვის არც ერთი საკითხი არ მოუმზადებიათ ბათუმის საქალაქო საბჭოს მშენებლობის, ბორჯომის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, მესტიის რაიონული საბჭოს ბუნების დაცვის, მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, სიღნაღის რაიონული საბჭოს მრეწველობის, თიანეთის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, გარდაბნის რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ცაგერის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ლაგოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიებს.

სუსტად მუშაობენ აბაშის რაიონული საბჭოს — ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობის, ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სხვა მუდმივი კომისიები, რომლებმაც მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ თითო საკითხი მოამზადეს აღმასკომის სხდომის განსახილველად.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მთელი რიგი სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ ქვემდგომ საბჭოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებს:

ა) თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი დადგენილებებით, კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ. აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების მუშაობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს მე-9 ხუთწლედის მეხუთე დამამთავრებელი წლის გეგმებისა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული პრინციპების დაცვას, სოციალისტური კანონიერების ყოველმხრივ განმტკიცებას;

ბ) სისტემატურად შეისწავლონ და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის გეგმების შესრულების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მეურნეობის სხვა დარგების აქტუალური საკითხები, გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის;

გ) გააუმჯობესონ საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომების მომზადების საქმე, დაიცვან სესიების მოწვევის კანონით დადგენილი ვადები; სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში უფრო მეტად ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. სათანადო კონტროლი დააწესონ სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე; უზრუნველყონ, რათა დეპუტატები თავიანთი ოლქის ამომრჩევლებს რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

დ) მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს; დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ წარსულის მავნე გადმონაშთებს, კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და მოვლენის ფაქტებს; მკაცრი მსჯელობის საგანი გახადონ სოციალისტური დემოკრატიის ძირითად პრინციპთა და საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე მოთხოვნათა დარღვევის ცალკეული შემთხვევები, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი;

ე) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დეპუტატებს თავიანთი მოვალეობის შესრულებაში. ამ მიზნით რეგულარულად ჩაატარონ დეპუტატთა დღეები, შეკრებები და სხვა, მოაწყონ დეპუტატთა ოთახები (კუთხეები), სისტემატურად მიაწოდონ დეპუტატებს საცნობარო მასალები საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობის შესახებ და დაეხმარონ ამომრჩეველთა კრებების მოწყობაში. მიიღონ ზომები ამომრჩეველთა განაწესებისა და დეპუტატების ანგარიშის ჩაბარების დროს დაყენებულ წინადადებათა განხორციელებისათვის;

ვ) უფრო მეტად დაეხმარონ მუდმივ კომისიებს საქმიანობის სწორად წარმართვაში, შეუქმნან მუშაობის სათანადო პირობები და მიაღწიონ იმას, რომ კომისიები სრულად იყენებდნენ დებულებით მინიჭებულ უფლებებს, კონტროლს უწევდნენ საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას

ზ) საბჭოების მუშაობაში ფართოდ დანერგონ დემოკრატიული პრინციპები. მიაღწიონ იმას, რომ აღმასრულებელმა კომიტეტებმა, განყოფილებებმა და სამმართველოებმა რეგულარულად ჩააბარონ ანგარიშები მოსახლეობას თავიანთი მუშაობის შესახებ. აღრიცხონ მოსახლეობის მიერ წამოყენებული კრიტიკული შენიშვნები, საქმიანი წინადადებები და უზრუნველყონ მათი შესრულება;

თ) სათანადო დახმარება გაუწიონ ქვემდგომ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებასა და კანონით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულების საქმეში;

ი) უახლოეს დროში ჩაატარონ არჩევნები გასული დეპუტატების ნაცვლად და შემდგომში მტკიცედ დაიცვან ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა დეპუტატების არჩევის შესახებ.

2. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ მეტი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 **ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ**

წარმოებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

1. ჟუჟუნა თერაპოს ასულ **ვაშაყმაძეს** — მთავარი ინჟინრის მოადგილეს.
2. ტატიანა ნოეს ასულ **ინანეიშვილს — საამქროს უფროსს.**
3. პავლე ტერენტის ძე **ხვედელიძეს** — მთავარ მექანიკოსს.

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის:

1. მიხეილ ტრიფონის ძე **ასამბაძეს** — უფროს ოსტატს.
2. ჯულიეტა ალექსანდრეს ასულ **ბეთანელს** — მთავარ ინჟინერს.
3. სონია ტერენტის ასულ **ბერეკაშვილს** — ლაბორატორიის უფროსს.
4. თამარ იოსების ასულ **გურეშიძეს** — მრანდავს.
5. ივანე ვასილის ძე **ივანიკოვს** — ზეინკალს.
6. მიხეილ გიორგის ძე **იმედაძეს** — ოსტატის თანაშემწეს.
7. გივი ერისტოს ძე **იობიძეს** — ხარატს.
8. აკაკი ალექსანდრეს ძე **სინაურიძეს** — ცვლის უფროსს.
9. ეკატერინე გიორგის ასულ **სუპატაშვილს** — წუნმდებელს.
10. ჟენია ილიას ასულ **ქურციკიძეს** — მრთველს.
11. ჟუჟუნა ვარდენის ასულ **შანიძეს** — მქსოველს.
12. აკაკი იოსების ძე **ჯანელიძეს** — ოსტატის თანაშემწეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის:

1. ტატიანა ვლადიმერის ასულ **გიგიაძეს** — უფროს ბუღალტერს.
2. თამარ ვლადიმერის ასულ **ნადირაშვილს** — მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

6 საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დროულად გადაზიდვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:**

გურამ დავითის ძე **ანდრიაძეს** — თბილისის განყოფილების მატარებლების დისპეტჩერს.

ბონდო ქრისტეფორეს ძე **ბარამიძეს** — ოჩხამურის სადგურის მორიგეს.

ფრიდრიხ ვარლამის ძე **ბეჟუაშვილს** — თბილისი-საკვანძო სადგურის ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტის მექანიკოსს.

ბენედიქტე ონისიმეს ძე **გაგუას** — სამტრედიის განყოფილების ვაგონების დისპეტჩერ-გამნაწილებელს.

შოთა აბესალომის ძე **გოგუას** — ქობულეთის სადგურის მორიგეს.

პავლე ნიკოლოზის ძე **დალალიშვილს** — გარდაბნის სადგურის მორიგეს.

შოთა რაჟდენის ძე **დვალიშვილს** — სამტრედიის სადგურის მთავარ კონდუქტორს.

გრიგოლ ელიზარის ძე **დუნდუას** — სამტრედიის სადგურის მატარებლების შემდგენელს.

ჯონი ნესტორის ძე **თურმანიძეს** — სამტრედიის განყოფილების მატარებლების დისპეტჩერს.

არჩილ იოსების ძე **ლაბაძეს** — თბილისის განყოფილების მატარებლების დისპეტჩერს.

ნიკოლოზ დავითის ძე **მაღლაკელიძეს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

სიმონ ილარიონის ძე **მამალაძეს** — ჩაქვის სადგურის უფროსს.

პავლე მელიქოს ძე **მურვანიძეს** — ქობულეთის სადგურის ტვირთების მიმღებ-ჩამბარებელს.

ოთარ ვასილის ძე **ნიკოლეიშვილს** — სამტრედია — II სადგურის ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტის ოსტატს.

ნიკოლოზ ვასილის ძე **სულხანიშვილს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

გიორგი ვარლამის ძე **ჩხარტიშვილს** — სამტრედიის განყოფილების მორიგეს.

ლევან გრიგოლის ძე **ჯიბუტს** — ბათუმის სადგურის მატარებლების შემდგენელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, პალატის დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოს **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის** საპატიო წოდება:

დარეჯან ვარლამის ასულ **კაჭარავას** — განყოფილების გამგეს.
მედეა ვლასის ასულ **კეკელიძეს** — უფროს რედაქტორს.
მზია დავითის ასულ **მაჭავარიანს** — განყოფილების გამგეს.
ჯულიეტა აბესალომის ასულ **ნუცუბიძეს** — განყოფილების გამგეს.
ნიკოლოზ ივანეს ძე **ქორიძეს** — დირექტორის მოადგილეს.
მზია იასონის ასულ **ყურაშვილს** — განყოფილების გამგეს.
ნადია იოსების ასულ **შენგელიას** — განყოფილების გამგეს.
ეთერი მათეს ასულ **ხუციშვილს** — განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 ამხ. რ. ს. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი ამხ. რევაზ სევერიანეს ძე **კანდელაკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1975 წლის 2 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 ამხ. ნ. დ. ხახუტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ნინო დურსუნის ასული **ხახუტაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 2 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 ამხ. ა. დ. თხილაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე დურსუნის ძე **თხილაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 6 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, **ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშამოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, ვ. ი. ლენინის სახელობის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. გოგონა ილიას ასული **გამეზარდაშვილი** — პირადი შემადგენლობის მაგიდის უფროსი.
2. დავით აპოლონის ძე **იოსელიანი** — საამქროს უფროსი.
3. ლილი აკაკის ასული **კაკაბაძე** — მქსოველი.
4. მექი ბიქტორის ძე **კირთაძე** — დირექტორის მოადგილე.
5. თინა ნოეს ასული **ნუცუბიძე** — მქსელავი.
6. ალექსანდრა მაქსიმეს ასული **ორლიხინა** — მქსოველი.
7. ნორა ვარლამის ასული **ტყემალაძე** — მრთველი.
8. შალვა ილიას ძე **ქიტმიროვი** — მჭედელი.
9. ვარლამ ისაკის ძე **ხახიაშვილი** — ოსტატის თანაშემწე
10. გრიგოლ ილიას ძე **ჯინჭველაშვილი** — მემოდელე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

7819

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ამხ. ვ. დ. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მულტიპლიკაციური კინოს განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინორეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ დავითის ძე **ბახტაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 ამხ. ა. გ. ვარდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, კომბინატ „საქნახშირის“ უფროსის მოადგილე ამხ. ალექსანდრე გრიგოლის ძე **ვარდიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 ამხ. ს. ი. კაკაჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ახალციხის რაიონის დაბა ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. სიმონ იაკობის ძე **კაკაჩიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 ამხ. ო. ლ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ოთარ ლეონტის ძე **კობერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 ამხ. ა. ი. ჯიქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისა და დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, სკკპ წევრი 1917 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. ავთანდილ იორდანეს ძე **ჯიქია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დროულად გადაზიდვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ვახტანგ ვლადიმერის ძე **ბაღიშვილი** — მახარაძის სადგურის სატვირთო ეზოს გამგე.

პავლინა ივანეს ასული **ბურაკოვა** — თბილისი-საკვანძოს სადგურის ვაგონების მრეცხავი.

ვაჟა ეპიფანეს ძე **გეგუჩაძე** — ბათუმის სადგურის ტვირთების მიმღებ-ჩამბარებელი.

ნასიბ ოსკარის ძე **გუმბათოვი** — მარნეულის სადგურის მატარებლების შემდგენელი.

გურგენ ესტატეს ძე **ვალიშვილი** — გორის სადგურის მორიგე.

ოქტაი კურბან ოღლი **ველიევი** — თბილისი-საკვანძოს სადგურის ბრიგადირი.

ვასილ მიხეილის ძე **სტრუჩალინი** — თბილისის განყოფილების მატარებლების დისპეტჩერი.

შოთა ვალერიანის ძე **ცინცაძე** — ბათუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საცნობარო-საბიბლიოგრაფიო საქმის განვითარებაში დამსახურებისათვის. დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, **საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, პალატის დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ლილი ვლადიმერის ასული **დევიძე** — განყოფილების გამგე.
ალექსანდრა მელიტონის ასული **კენჭაძე** — განყოფილების გამგე.
ნატალია ევგენის ასული **ლოგაძე** — უფროსი ბიბლიოგრაფი.
თინათინ ევგენის ასული **მექანარაშვილი** — განყოფილების გამგე.
თინათინ ერმილეს ასული **ნაკაშიძე** — მთავარი ბიბლიოგრაფი.
ნათელა არონის ასული **ტაკიძე** — უფროსი რედაქტორი.
ანტონ ივანეს ძე **შარაშიძე** — განყოფილების გამგე.
ეკატერინე ვლადიმერის ასული **ჩხეტიანი** — განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 პროფესორ ი. ლ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი იასონ ლევანის ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 პროფესორ ვ. მ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ვლადიმერ მიხეილის ძე **გურგენიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 ამხ. ი. ბ. კალანდარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სავაჭრო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეობა-მოადგილე ამხ. ირაკლი გიორგის ძე **კალანდარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 პროფესორ ბ. ი. შხვაცაბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გიორგი იაკობის ძე **შხვაცაბაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 აკადემიკოს ბ. ს. ჭოლოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. გიორგი სევერიანეს ძე **ჭოლოშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1975 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

26 პროფესორ ა. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე სიმონის ძე ჯაფარიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 იანვარი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 27 იანვრის სხდომაზე მოისმინა საკითხი ბოლნისისა და ხაშურის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის შესახებ; აღინიშნა, რომ დასახელებული კომისიები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ადმინისტრაციულ დარღვევათა აღსაკვეთად, საბჭოთა კანონებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას 1974 წელს განხილული აქვს 138 საქმე, ხოლო ხაშურის რაიონულ, საქალაქო და სადაბო საბჭოებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს — 378 საქმე; საქმეთა დიდი უმრავლესობა არსებითად გადაწყვეტილია სწორად, განხილვისათვის კანონით დაწესებული ვადების დაცვით.

ამასთან ერთად აღნიშნულ ადმინისტრაციულ კომისიებს მუშაობაში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც კომისიები იღებენ და იხილავენ საქმეებს, რომლებიც სრულყოფილად არ არის შედგენილი ან მათ არ ექვემდებარება.

კომისიები ხშირად საქმეებს იხილავენ ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენიდან ერთი თვის შემდეგ.

უმეტეს შემთხვევებში ადმინისტრაციული კომისიების სხდომების ოქმები და დადგენილებები ფორმდება ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის შესახებ დებულების უხეში დარღვევით. ოქმებიდან არ ჩანს კომისიის სხდომას ესწრებოდა თუ არა მოქალაქე, რომლის გადაცდომის საქმეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო განხილული. ოქმებში და დადგენილებებში მითითებული არ არის დარღვევის ასაკი (ხაშურის რაიონი), დარღვევის ჩადენის თარიღი, არსი. ზოგჯერ დადგენილებას ხელს არ აწერენ საქმის განხილვაში მონაწილე კომისიის წევრები (ბოლნისის რაიონი) და სხვა.

ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისია დამრღვევთ საერთოდ არ აბარებს დადგენილების ასლს.

იმის გამო, რომ კომისიების სხდომები იშვიათად ტარდება, ირღვევა საქმის განხილვის ვადები.

სერიოზული შეცდომებია ადმინისტრაციული სასჯელების განსაზღვრის დროსაც. არის შემთხვევები, როდესაც აკრძალული რეწვისა და საპასპორტო რეჟიმის დარღვევისათვის ჯარიმას უფარდებენ მაქსიმალურ ფარგლებში, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და დამნაშავის ქონებრივი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად; ხოლო ისეთი გავრცელებული გადაცდომისათვის, როგორიცაა მიწის კანონმდებლობის დარღვევა, ჯარიმას უფარდებენ მინიმალური ოდენობით.

დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველთვის არ ასრულებენ ადმინისტრაციული კომისიების მითითებას იმ პირთა საკითხის განხილვის შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს დარღვევა.

პრაქტიკაში არ არის დანერგილი საქმეების უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში განხილვა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ჯარიმების დროულად გადახდევინებას.

ადმინისტრაციული კომისიები არ ახორციელებენ ყველა ღონისძიებას ადმინისტრაციულ დარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დასადგენად და აღსაკვეთად, ჯეროვნად ვერ აფასებენ მშრომელთა კოლექტივებისა და ამხანაგური სასამართლოების როლს სამართალდარღვევებთან ბრძოლის საქმეში. კომისიების მუშაობა ნაკლებად შუქდება ადგილობრივ პრესასა და რადიოგადაცემებში.

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების ბოლნისისა და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო დახმარებას არ უწევენ ადმინისტრაციულ კომისიებს, მათი საქმიანობის საკითხებს იშვიათად იხილავენ თავიანთ სხდომებზე. ამასთან პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების მიერ კომისიების მუშაობაზე არ არის დაწესებული სათანადო ზედამხედველობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ბოლნისისა და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უმოკლეს ვადაში განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

პერიოდულად შეისწავლონ და განაზოგადონ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის გამოცდილება. საჭირო დახმარება გაუწიონ მათ დებულებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცალკეული საკანონმდებლო აქტების, ზემდგომი ორგანოების დადგენილებების გაცნობასა და საჭირო ლიტერატურის შეძენაში;

წარმართონ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა დებულების სრული შესაბამისობით, ამასთან მეტი ყურადღება მიაქციონ საქმეების განხილვას დამრღვევის მუშაობის, სწავლის თუ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მათი საქმიანობა ფართოდ გააშუქონ ადგილობრივ პრესასა და რადიოგადაცემებში;

მიიღონ ზომები ადმინისტრაციულ დარღვევათა ხელშემწყობი პირობების შესწავლისა და მათი გამომწვევი მიზეზების სალიკვიდაციოდ;

არ დაუშვან კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომების გადამეტება, ამასთან მისი განსაზღვრისას მხედველობაში მიიღონ გადაცდომის სიმძიმე, დამრღვევის პიროვნება და ოჯახური მდგომარეობა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა სრულყოფილად შეადგინონ საქმეები ადმინისტრაციული დარღვევების შესახებ და დროულად წარმოუდგინონ ადმინისტრაციულ კომისიებს განსახილველად.

საქართველოს სსრ პროკურატურას რეკომენდაცია მიეცა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ადმინისტრაციული კომისიების მუშაობაზე.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ შეისწავლონ ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობა და მიიღონ ზომები მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

■

■ ■

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის და რესპუბლიკის პროკურორის მოხსენებითი ბარათი სამკერდე ნიშნების დაწესების და დამზადების დადგენილი წესის დაცვის შემოწმების შედეგების შესახებ და აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო, უწყება, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია უხეშად არღვევს ამ წესს. სამკერდე ნიშნები ხშირად კეთდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვისა და საქართველოს პროფსაბჭოსა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.

ზოგიერთი ნიშანი გარეგნულად ორდენსა და მედალს წააგავს და შესრულებულია დაბალ იდეურ-მხატვრულ დონეზე.

რიგი სამინისტროს, უწყების და საწარმოს ხელმძღვანელი, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი იღებს დებულებას სამკერდე ნიშნების შესახებ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დამტკიცების გარეშე, რის შედეგადაც ზოგიერთ მათგანში ისეთი შეღავათებია გათვალისწინებული, რომლებიც არ შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებს.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკერდე ნიშნების დამზადებაზე იხარჯება დიდი სახსრები და დეფიციტური მასალა.

ეს ნაკლოვანებები აიხსნება იმით, რომ სამინისტროები, უწყებები, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები კონტროლს არ უწევენ ამ საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა: საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებანი სამკერდე ნიშნების გამოშვებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მკაცრად დაიცვან სამკერდე ნიშნების დაწესებისა და დამზადების დადგენილი წესი.

პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო, რომ საკითხი სამკერდე ნიშნების გამოშვების დადგენილი წესის დარღვევის შესახებ განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმის მოსაგვარებლად.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 27 იანვრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დააჯილდოვა 748 კაცი, მათ შორის:

ქ. თბილისის	საქარხნო რაიონიდან	29
ქ. ქუთაისიდან		105
ადიგენის	რაიონიდან	6
ზესტაფონის	„	37
ზუგდიდის	„	100
თელავის	„	176
კასპის	„	46
მახარაძის	„	49
ქარელის	„	12
ყვარლის	„	47
ცაგერის	„	33
ჩხოროწყუს	„	60
წალენჯიხის	„	48